

**შიდა ქართლის რეგიონი
კასპის მუნიციპალიტეტი**

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა

2018-2022 წლებისათვის

2017 წელი

სარჩევი

ნაწილი1 - რეზიუმე..... 3

 1.1 დაგეგმვის საფუძველი..... 3

 1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი..... 3

 1.3 გეგმის შემუშავების პროცესი..... 3

 1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა..... 4

ნაწილი2 - შესავალიდაარსებულიმდგომარეობა..... 5

 2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლოსაფუძვლები 5

 2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები..... 7

 2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები..... 9

ნაწილი 3 – მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება..... 10

 3.1. შესავალი 10

 3.2. გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები 11

 3.3. ნარჩენების რაოდენობა 11

 3.4. ნარჩენების პროგნოზირება 12

 3.5. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი..... 13

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა..... 14

 4.1. ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები 17

 4.2. აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)..... 19

 4.3. ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება..... 19

 4.4 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები 21

ნაწილი 5 - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები 22

ნაწილი 6 - სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები 25

ნაწილი 1 - რეზიუმე

1.1 დაგეგმვის საფუძველი

საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმები, ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და თანამედროვე მდგომარეობის დანერგვის მიზნით. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს ზოგად ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის იურისდიქციაში ნარჩენების მართვას და ასევე, შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც მას ეკისრება ნარჩენების მართვის კუთხით.

1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი

კასპის მუნიციპალიტეტის ნარჩენების გეგმა მომზადებულია ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და მასში წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს 2017 წლისთვის მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

წინამდებარე გეგმის ზოგადი მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის დაგეგმვა ნარჩენების მართვის თანამედროვე პრინციპების მიხედვით.

კონკრეტულად კი გეგმა მიზნად ისახავს, ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეების, კომერციული ობიექტებისა და ადგილობრივი საწარმოებისათვის ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი სერვისის მიწოდებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უკანონო ნაგავსაყრელის დახურვა-რემიდიაციას; მნიშვნელოვანია, ნარჩენების განთავსების უკანონო ადგილების გაჩენის პრევენცია და ამ კუთხით გეგმა მიზნად ისახავს ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევებში ეფექტიანი დაჯარიმების სისტემის ეფექტიან ამუშავებას, ასევე, გეგმა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივ დანერგვას, მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ამოღების ეფექტიანი სისტემის დანერგვასა და მის გამართულ ფუნქციონირებას, ადდგენის პროცესების ხელშეწყობას.

ყოველივე ზემოთ თქმული კი, თავის მხრივ ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის 2016–2020 და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2016–2020 მიზნებისა და ამოცანების მიღწევას მუნიციპალურ დონეზე.

1.3 გეგმის შემუშავების პროცესი

კასპის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავდა მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ (რომელიც შეიქმნა გამგებლის ბრძანება №1391-ს 07.06.2017წ საფუძველზე), რომელშიც შედიან იურიდიული, ეკონომიკური განვითარებისა და ზედამხედველობის სამსახურების საჯარო მოხელეები.

გეგმის შემუშავების პროცესი დაეყრდნო USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამის ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR) ფარგლებში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან

მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებულ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების სახელმძღვანელო დოკუმენტს.

1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებას და გატანას ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შ.პ.ს „კასპისკეთილმოწყობა“, რომელიც 2007 წელს დაფუძნდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. დღეის მდგომარეობით, ნარჩენების შეგროვება კონტეინერული და ზარის სისტემით ხდება მუნიციპალიტეტის 72 სოფლიდან, რაც მთლიანი მოსახლეობის 96% -ს შეადგენს.

გეგმის შემუშავების ეტაპისათვის კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან გოსტიბე, ცხავერი ვარჯაანი, ჭყოპიანი, ჩაჩუბეთი და რკონი არ ხდება მუნიციპალური ნარჩენების გატანა. ეს არის მაღალმთიანი სოფლები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებულია 30-35კმ-ით, სადაც გზების ინფრასტრუქტურა არის მოუწყვრეგებელი. ამასთან, ამ სოფლებში მოსახლეობის რაოდენობაც მცირეა, დაახლოებით 2-10 ოჯახი.

აღსანიშნავია, რომ მცირეგაბარიტიანი ტრანსპორტი, რომელიც ამჟამად ემსახურება მუნიციპალიტეტის სოფლების დასახლებებს, და ახდენს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, არის გაუმართავი, ნარჩენების გატანის მომსახურება არ არის ხარჯეფექტიანი. ასევე, კასპის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში, შიდა საუბნო გზები არის ვიწრო და წლების განმავლობაში მოუწყვრეგებელი, რის გამოც სპეცმანქანებს უჭირთ გადაადგილება და მომსახურების მიწოდება ადგილზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება B-ჯგუფის-ნარჩენების შეგროვება, რომლებიც წარმოიქმნება ჯანდაცვის ობიექტებში. აღნიშნული ნარჩენი გროვდება სპეციალიზირებულ კონტეინერებში და მათ გატანას ყოველდღიურად უზრუნველყოფს შ.პ.ს. „ეკომედი“. ამ ტიპის ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 50-55კგ-ს.

ამასთან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის სამშენებლო და ინერტული ნარჩენების ოფიციალური ნაგავსაყრელი, რაც იწვევს სამრეწველო საწარმოებიდან წარმოშობილი ნარჩენის განთავსებას დასახლებულ ტერიტორიებთან.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება.

დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვას თითოეულ ოჯახზე სულთა რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მოსაკრებლების კონტროლის განყოფილება.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის #44 დადგენილების „კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი „მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ საფუძველზე, მოსაკრებლების კონტროლის განყოფილების მიერ, თვეში ნარჩენების გატანისთვის გადასახადის სახით დარიცხული თანხა შეადგენს საშუალოდ 21,966 ლარს, რომელიც გაწერილია 14,961 ოჯახსა და 231 იურიდიულ პირზე. ერთ სულ მოსახლეზე გადასახადი შეადგენს 0,50 ლარს, ხოლო იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და

დაწესებულებებისთვის 25 ლარის ოდენობით 1მ3 ნარჩენზე. მოსაკრებლის ოდენობა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57,000 ქულას, განსაზღვრულია ერთ სულ მოსახლეზე 0.30 ლარით.

2016 წლის მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტს 1მ3 ნარჩენის მომსახურება უჯდება 12.20 ლარი.

1.5 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია

კასპის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელია კასპის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების, საფინანსო-საბიუჯეტო და ზედამხედველობის სამსახურები. საჭიროების მიხედვით, გეგმის განხორციელების პროცესში მოხდება სხვადასხვა სამსახურების ჩართვა.

ნაწილი 2 - შესავალი და არსებული მდგომარეობა

2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლოსაფუძვლები

საქართველოში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოს ეკისრება.

ნარჩენების მართვის ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება, განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

არასახიფათო ნაგავსაყრელების ფუნქციონირებაზე, მათ შორის, მათ მშენებლობაზე, ფუნქციონირებასა და დახურვაზე, აგრეთვე, ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მშენებლობასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო¹, კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ მთავრობებს, რომლებიც, კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად პასუხისმგებელი არიან ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. კერძოდ, საუბარია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე და, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე თავიანთი ადმინისტრაციული ტერიტორიების ფარგლებში.

¹ ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ქალაქი თბილისი, სადაც ნარჩენების შეგროვება/გატანა და ნაგავსაყრელების ფუნქციონირება ადგილობრივი თვითმმართველობების პასუხისმგებლობის სფეროში შედის.

კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი”² თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობები ვალდებული არიან შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები.

აღნიშნული ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების მართვის იერარქიას და „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს. კანონის მიხედვით, ასეთი გეგმები უნდა მოიცავდეს 5–წლიან პერიოდს, და უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. აღნიშნული მუნიციპალური გეგმები ასევე უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის სხვა სახელმწიფოებრივ ინიციატივებს ნარჩენების კონკრეტული ნაკადების მიმართ, მათ შორის, მდგრადი ორგანული დამბინძურებლების, ვერცხლის წყლის, სამედიცინო და ცხოველური წარმოშობის ნარჩენების და აზბესტის მიმართ.

კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების აღდგენის პროცესებს. კანონი განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები მათი შემდგომი აღდგენის მხრივ. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდეს, ტრანსპორტირებულიყნას და დამუშავდეს იმწესით, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს გარემოს დაზიანების რისკს და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს.

კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი” კრძალავს ნარჩენების ყოველგვარ უკანონო განთავსებას, ანუ განთავსებას ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების გარეთ და ნარჩენების შესაგროვებელი პუნქტების გარეთ. ამ მოთხოვნის შესასრულებლად, მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ დამნაგვიანებელ პირებს ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო თუ ასეთი პირების იდენტიფიცირება შეუძლებელია, მაშინ დანაგვიანებული ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება დაეკისრება თავად ტერიტორიის მესაკუთრეს. თუ ტერიტორია ეკუთვნის მუნიციპალიტეტს, მაშინ ნარჩენებისაგან მის გასუფთავებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი” ასევე ითვალისწინებს, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებში განსაზღვრული იყოს საშუალებები, რომლებიც გაზრდიან ნარჩენების რეციკლირებისა და აღდგენის დონეს მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული

²2015 წლის 15 იანვარს მიღებული იქნა საქართველოს კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი”, რომლის მიზანია სამართლებრივი და მარეგულირებელი საფუძვლის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციასა და ხელახალ გამოყენებას, აგრეთვე ნარჩენების დამუშავებას გარემოსთვის უსაფრთხო გზით, მათ შორის – შეგროვებას, ტრანსპორტირებას, აღდგენასა (რეციკლირება, კომპოსტირება და ა.შ.) და განთავსებას. კანონის ამოცანაა: 1) ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა ნარჩენების წარმოქმნის და მისი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა ან შემცირების გზით; 2) ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა; და 3) იმ რესურსების ეფექტიანი მოხმარების წახალისება, რომლებიც შეიძლება მიღებული იქნას მუნიციპალური ნარჩენების უკეთ მართვის შედეგად.

საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” საფუძველზე შემუშავებულია ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016–2030 წლებისთვის და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2016–2020 წლებისთვის, რომლებიც კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრავს კონკრეტულ დროში გაწერილ მოკლე და აგრძელებადიან მიზნებს ნარჩენების მართვის კუთხით და ამ მიზნების მიღწევის მიდგომებსა და ქმედებებს.

მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს მათ შორის ნარჩენების აღდგენის პროცესის ხარჯ-ეფექტიანობისაკენ მიმართულ რეგიონულ ინიციატივებს³.

კონკრეტულად, კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მე-13 მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის როგორც შინაარსს, ისე მინიმალურა მოცანებს.

2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

კასპის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 803.16 კმ² მუნიცილიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. ისტორიულ-გეოგრაფიული დაყოფით, მუნიციპალიტეტი შიდა ქართლის ფარგლებშია მოქცეული. მისი ტერიტორია მოიცავს ძირითადად ვაკე-ბორცვიან ბარს, დაბალ მთიან და საშუალომთიან მაღლობებს. მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, რომელსაც ჩრდილოეთით აკრავს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ განშტოება, სამხრეთითორიალეთის ქედი. ტერიტორიის თითქმის შუა ნაწილი უკავია მტკვრისპირა ვაკეს, ვაკის ჩრდილოეთით აზიდულია კვერნაქის ქედი, რომელიც გაკვეთილია ლეხურისა და ქსნის ხეობებით.

მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება მცხეთის, დასავლეთით – გორის, სამხრეთით – თეთრიწყაროსა და წალკის, ჩრდილო-აღმოსავლეთით – დუშეთისა და ახალგორის მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთართა და მშრალი ცხელი ზაფხულით (38 C⁰).საშუალოწლიური ტემპერატურა დაახლოებით 11.4C⁰–ია, შესაძლებელი მაქსიმუმია 38C⁰, ხოლო შესაძლებელი მინიმუმი – 5C⁰.გაბატონებულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები⁴.

ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 500-600 მმ-ია, მაქსიმუმი თვიური (მაისის თვეში) 90-100 მმ, თვიური ნალექების მინიმუმი (სექტემბრის თვეში) შეადგენს 50-60 მმ.

ტერიტორიაზემიედინება მდინარეები: მტკვარი, ლეხურა, ქსანი, თეძამი, კავთურა. აგრეთვე პატარა მდინარეები ბოტისისწყლები, გოსტიბესწყალი, ლაჯიანხევი, ნოსტურა, სალომიასწყალი, შავწყალა, ხეხმელა,ტორტლა, კოწახურა, მრავალწყარო. გარდა ამისა, სოფლებში არსებობს მრავალი ბუნებრივი წყარო.

მუნიციპალიტეტში 17 ადმინისტრაციული ერთეულია – 1 ქალაქი და 16 სოფლის ტიპის დასახლება. მანძილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან თბილისამდე შეადგენს 56 კმ, ხოლო ქ. გორამდე–24კმ.

2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 43,771 ადამიანი. მათ შორის ქალაქ კასპში -13,423, ხოლო სოფლად -30,348. წლების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობის დინა იკამოცემულია № 1 ცხრილში.

³კანონი ითვალისწინებს, რომ ერთმანეთის მეზობელმა მუნიციპალიტეტებმა შეიძლება შექმნან მუნიციპალური ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემები და, ასევე, შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების ერთობლივი მართვის გეგმა (თუ მისი შესრულება უზრუნველყოფილი იქნება.

⁴მუნიციპალიტეტში ქარის ენერგეტიკული რესურსი შეადგენს 1,000კვტ/სთ 1 კმ²-ზე.

ცხრილი №1. კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა წლების მიხედვით

წელი	მოსახლეობის რაოდენობა
1989	55,416
2002	52,443
2010	52,000
2014	43,771

როგორც ვხედავთ ადგილი აქვს მოსახლეობის რაოდენობის კლების ტენდენციას. ბოლო 25 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა დაახლოებით 8%-ით.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 საჯარო სრული და საბაზო სკოლა, მათ შორის 4 ქ.კასპში. აქვეა ასევე მრავალპროფილური სკოლა-გიმნაზია. მუნიციპალიტეტში მოქმედი 26 საბავშვო ბაღიდან 5 მდებარეობს ქალაქში. ქ. კასპში ფუნქციონირებს შშმ პირთა 2 ცენტრი და მოხუცებულთა თავშესაფარი.

ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციის 18 (სამოქალაქო და საჯარო რეესტრი, პოლიცია, სხვ.) რეგიონული წარმომადგენლობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 16 ამბულატორია და 2 ჯანდაცვის ცენტრი, მათ შორის შ.პ.ს., „მედალფას“ საავადმყოფო და სამედიცინო ცენტრი შ.პ.ს. „მარიმედი“

მუნიციპალიტეტისთვის წამყვანი დარგი არის მრეწველობა. ძირითადი მაკროეკონომიკური პროდუქციის სახეებია:

- აგურის წარმოება;
- ცემენტის, კლინკერის წარმოება;
- ცეოლითის მოპოვება;
- ელ.აპარატურის და ელექტრო მოწყობილობების წარმოება
- პლასტმასის მილების და ინვენტარის წარმოება.
- სპირტის წარმოება
- ხილის გადამამუშავებელი მრეწველობა
- საბურავების გადამამუშავება

მუნიციპალიტეტში განვითარებულია სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები:

- მევენახეობა;
- მეხილეობა (თესლოვანი და კურკოვანი),
- მებოსტნეობა;
- მარცვლეული კულტურები;

- მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა),
- მეფუტკრეობა
- საკალმახეები.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრის მონაცემებით, კასპის მუნიციპალიტეტში საწარმოთა რაოდენობა სიდიდის მიხედვით ასეთია მსხვილი საწარმო–11, მცირე საწარმო–300, საშუალო ზომის საწარმო–22 (ქარხნები, სს–ები, შ.პ.ს–ები, ი.მ–ები).

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს: თიხის, კლინკერის, ცეოლითის მოპოვება, ცემენტის სამშენებლო აგურის და ბლოკის, კლინკერის დაფქვის საწარმოები. საბურავების გადამამუშავების საწარმო, ხილის გადამამუშავებელი საწარმო, ღვინის და სპირტის წარმოება, პურის და საკონდიტრო საცხობები, კვების ობიექტები, საკოლმეურნეო ბაზრები, საქონლის ხორცის დამზადების მეწარმეობა, ნახევარ ფაბრიკატების წარმოება. სამრეწველო ნარჩენებია: ცემენტის მტვერი, კლინკერის დაუმამუშავებელი ფრაქციის ქვები, აგურის თიხის ალიზი, ხორბლის და სიმინდის ნახარში, ყურძნის წიპწა, ჩენჩო, რკინა, მინა.

2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

კასპის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მიმართულია შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტასა და შედეგების მიღწევაზე:

- კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2018 წლისათვის;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის როგორც მოსახლეების, ისე კომერციული ობიექტებისა და საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისათვის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - მუნიციპალური ნარჩენები 90% 2020 წლისთვის;
 - სახიფათო მუნიციპალური ნარჩენები 50% 2020 წლისთვის;
- სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2020 წლისთვის;
- ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);
- ქალაქის მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2019 წლისთვის;

- ქალაქის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - ქალაქი 30% 2020 წლისთვის;
 - პლასტიკი 30% 2020 წლისთვის;
 - მეტალი 70% 2020 წლისთვის;
- კასპის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;
- დანაგვიანებასთან და ნარჩენების უკანონო განთავსებასთან დაკავშირებით დაჯარიმებისა და შესაბამისი სანქციების ეფექტიანი გატარება საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების მიზნით;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე;

ნაწილი 3 – მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

3.1. შესავალი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასა და გატანას კასპის ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ერთწლიან ტენდერში გამარჯვებული შპს „კასპისკეთილმოწყობა“, რომლის 100%-ის წილის მფლობელია კასპის მუნიციპალიტეტი.

შპს „კასპისკეთილმოწყობა“, წესდებით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობაში შედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაღის ნარჩენისა და მკვდარი ცხოველების გატანა, ქალაქ კასპის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა / დასუფთავება.

კომპანია ასევე ახდენს მყარი ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაწევას კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და კომპანიებისათვის/ საწარმოებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებენ მის ტერიტორიაზე.

შ.პ.ს. „კასპისკეთილმოწყობა“ საწარმოების მომსახურებას ეწევა ორი მიმართულებით. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ საწარმოები რომლებსაც მყარი ნარჩენები გამოაქვთ და ათავსებენ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე განთავსებულ ნარჩენების შეგროვების საერთო კონტეინერებში. გატანა ხდება სატენდერო პირობების გათვალისწინებით და არიან კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოები, როგორცაა: შპს “ჯორჯიან პლასტიკ ფაიფსი”, შპს “მეტეხის კერამიკა”, შპს “პიუნუკ ჯორჯია,” შპს “ჯეოფერტი”, შპს “ბლექ სი გრუპი”, შპს “სავანე XXI”, შპს “ევროცემენტი”, შპს “საქართველოს ენერჯეტიკული

კორპორაცია”, შპს “რკ მამპრო”, შპს “თბილისის ფილიალი ჩუნგდუს დიზაინის და სამშენებლო მასალების კვლევის ინსტიტუტი”, რომლებსაც საკუთარ ტერიტორიაზე აქვთ განთავსებული ნარჩენების შეგროვების კონტეინერები 1.2მ³ ტევადობის და შ.პ.ს.“კასპისკეთილმოწყობა“ მათი ტერიტორიიდან ხელშეკრულების საფუძველზე ახდენს მყარი ნარჩენების გატანას და ნაგავსაყრელზე განთავსებას.

3.2. გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები

აღნიშნული გეგმა განიხილავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემდეგ სახეობებთან მიმართებაში არსებულ მდგომარეობას:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- კომერციული ობიექტების ნარჩენები⁵;
- ქუჩის ნაგავი;
- ფოთოლი და ბალის ნარჩენები;
- მცირე საწარმოო ობიექტების ნარჩენები;
- სამშენებლო ნარჩენები;

3.3. ნარჩენების რაოდენობა

კასპის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ ნაგავსაყრელებზე შეტანილი ნარჩენების რაოდენობის მიხედვით.

2014 წლის მონაცემების მიხედვით, შ.პ.ს.“კასპისკეთილმოწყობას“ მიერ მოცემულ წელს შეგროვდა და ნაგავსაყრელზე განთავსდა 19.7 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, 2015 წელს - 22.3 ტონა, ხოლო 2016 წელს -23.62 ტონა.

ნარჩენების სახეობების მიხედვით ეს მთლიანი მოცულობები ასე იყოფა:

ნარჩენების სახეობა	2015 წელს შეგროვებული ნარჩენები (სავარაუდო განაწილება)	2016 წელს შეგროვებული ნარჩენები (სავარაუდო განაწილება)	2017 წელს შეგროვებული (სავარაუდო განაწილება) ნარჩენი
საყოფაცხოვრებო, დაწესებულებების, კომერციული კუბ.მ	19,8	21,735 712 3,740	21,826 715 3,755

⁵მოიცავს ბაზრების, მაღაზიების, ოფისების, რესტორნების, საწყობებისა და სასტუმროების ნარჩენებს (მსხვილ კომერციულ დაწესებულებებს შეუძლიათ თავად უზრუნველყონ საკუთარი ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ხოლო მცირე საწარმოები ხშირ შემთხვევაში გამოიყენებენ საერთო კონტეინერებს).

ქუჩების/პარკების დასუფთავებით წარმოქმნილი ნარჩენები კუბ.მ	2,953	3,237	3,250
სულ	26,847	29,424	29,546

მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებზე მოთ აღნიშნული მონაცემები საკმაოდ მიახლოებით სურათს გვაძლევს ნარჩენების რაოდენობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ფარგლებში წარმოქმნილი დიდგაბარიტიანი⁶, ასევე, სამშენებლო და ნანგრევების ნარჩენების გატანა არ ხდება მათი განთავსება წარმომქმნელების მიერ ხდება არალეგალურ ნაგავსაყრელებზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს ამ ნაკადებზე არ აქვს ზუსტი ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო სამუშაოებისას წარმოშობილი სამშენებლო და/ან ინერტული ნარჩენების გატანა ხდება საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეულ და გამოყოფილ ტერიტორიებზე. საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი 21, პუნქტი 5-ის. შესაბამისად. კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით.

სამრეწველო ნარჩენები

სამრეწველო ნარჩენების წარმომქმნელი საწარმოებიდან აღსანიშნავია, რომლებიც წარმოქმნიან ტექნოლოგიური პროცესების შედეგად სამრეწველო ნარჩენს, მაგალითად ნატურალპროდუქტების კომპანია, რომელიც აწარმოებს სასმელებს (არაყი, კონიაკი, სპირტი) წარმოშობს ხორბლის ნარჩენს, რომელსაც იყენებენ პირუტყვის საკვებად და საწარმო TMT, რომელიც აწარმოებს მურაბას, ხილფაფას, მარინადს, აჯიკას, საწებელს, თაფლს. ეს საწარმო საქმიანობის დროს ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავების შედეგად წარმოშობს ხილის და ბოსტნეულის ნარჩენს, რომლის გამოყენებაც შეიძლება კომპოსტირებისთვის. რაც შეეხება ცემენტის, აგურის, საკედლე ბლოკის წარმოებებს, წარმოშობილი ინერტული ნარჩენი ცემენტის მტვერი და გამოუსადეგარი ალიზის ან აგურის ნარჩენს ათავსებენ ან საკუთარ ტერიტორიაზე, ან ხელოვნურად შექმნილ ნაგავსაყრელებზე.

3.4. ნარჩენების პროგნოზირება

კასპის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებისათვის ნარჩენების შეგროვების და გატანის სერვისის მიწოდება, ასევე ქ.კასპსა და სოფლებში ე.წ. „ზარის“ მეთოდის ეტაპობრივი ჩანაცვლება ნარჩენების შეგროვების კონტეინერული სისტემით.

⁶საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მიხედვით, დიდგაბარიტიან ნარჩენებს განეკუთვნებიან ნარჩენები, რომლებიც თავიანთი ზომებისა და ფორმის გამო ვერ თავსდება ნარჩენების სათავსში.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიისათვის ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების კონტეინერული სისტემით მიწოდების პირობებში, მოსალოდნელია შეგროვებული ნარჩენების რაოდენის ზრდა.

3.5. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

ნარჩენების შემადგენლობაზე მსჯელობისას, შეგვიძლია გამოვიყენოთ 2017 წელს დაწყებული ქ. ხაშურის ნაგავსაყრელზე განხორციელებული ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევის ამ ეტაპისთვის არსებული შედეგები⁷.

ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული კვლევის შედეგები, რაც გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის აღდგენადი ნარჩენების ამოღება შეიძლება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული ნარჩენების ნაკადიდან. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდება მუნიციპალიტეტის რეციკლირების პოტენციალის შეფასება.

№1 ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევის შედეგი (გასაშუალებული მაჩვენებელი ოთხივე სეზონისათვის)

ნარჩენების კატეგორია	საშუალო (% მაჩვენებელი)
ორგანული მასალები	44.47 %
ქაღალდი და მუყაო	9.28 %
პოლიეთილენი/პლასტმასი	15.24 %
ქსოვილები	7.6 %
სამშ. ნარჩენები	3.41 %
პამპერსი	6.09 %
მინა	5.63 %
განსაკ. ზედამხედველობას	1.97 %
ლითონისჭურჭელი	1.69%
ტყავიდარეზინა	2.62 %
სხვა ნარჩენები	1.06 %
სულ ჯამურად	99.14 %

როგორც შედეგებიდან ვხედავთ ნარჩენების შემადგენლობიდან სამი ძირითადი ნაკადი შეგვიძლია გამოვყოთ, რომელსაც დომინანტური პოზიცია უჭირავს ნარჩენების მთლიან ნაკადში. ესენია: ორგანული ნარჩენები (44,47%), პოლიეთილენი/პლასტმასი (15,24%) და ქაღალდი და მუყაო (9,28%). შესაბამისად, ამ ნაკადებზე უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება ნარჩენების მართვის რეციკლირების სისტემების დანერგვისას მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

⁷აღნიშნული მონაცემები ეყრდნობა „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში, მეორე ფაზა“ (WMTR II) პროგრამის ფარგლებში ხაშურის ნაგავსაყრელზე განხორციელებულ ნარჩენების შემადგენლობის სეზონური კვლევის შედეგებს, რომლებიც გეგმის წერის დროს ხელმისაწვდომი იყო (კვლევა სეზონურია და ამ ეტაპისათვის მხოლოდ ზაფხულის სეზონის მონაცემებია ხელმისაწვდომი).

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

კასპის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება კონტეინერული და ზარის სისტემით მიეწოდება ქ.კასპის 90%, თელიანის და მეტეხის დევილთა დასახლების 100%-ს. სოფლებში მომსახურების მიწოდება ხდება ზარის სისტემით, მხოლოდ სოფლების 5%-ით ემსახურება კომპანია კონტეინერული სისტემით და ისიც სოფლების ცენტრალურ ტერიტორიებსა და საუბნო შესასვლელებთან.

შ.პ.ს. “კასპისკეთილმოწყობა“ ემსახურება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე 15,192 აბონენტს, მათ შორის 231 იურიდიული პირია. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება მიეწოდება მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 95%-ს, ხოლო დაწესებულებებისთვის და კომერციული ობიექტების 99%-ს.

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 300 ცალი 1.1მ³ მოცულობის ლითონის კონტეინერი. აქედან 153 ქ.კასპში და 147 ცალი სოფლებში. ქ.კასპში ასევე განთავსებულია 35 ცალი 0.7მ³ ლითონის დასადგმელი და 30 ცალი. 0.25მ³ ჩამოსაკიდებელი პლასტმასის კონტეინერი.

დღეის მდგომარეობით, სოფლების მიხედვით ნარჩენების შეგროვების კონტეინერები ასეა განაწილებული:

ადგილმდებარეობა	ნარჩენების შეგროვების კონტეინერი
<i>ოკამის ადმინისტრაციული ერთეული</i>	29
ოკამი	12
თეზი	5
ფერმა	6
იგოეთი	6
სამთავისის ადმინისტრაციული ერთეული სოფელი: სამთავისი	4
ქვემო ჭალის ადმინისტრაციული ერთეული სოფელი: ქვემო ჭალა	4
კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეული სოფელი: კავთისხევი	20
მეტეხის ადმინისტრაციული ერთეული სოფელი: მეტეხი	22
ქვემო გომის ადმინისტრაციული ერთეული სოფელი: ქვემო გომი	11
<i>ახალციხის ადმინისტრაციული ერთეული</i>	19
ახალციხე	9
მთიულთუბანი	2
ნოსტე	8
<i>ახალქალაქის ადმინისტრაციული ერთეული</i>	24

ახალქალაქი	13
გარიყულა	5
ერთაწმინდა	3
ზემო ჩოჩეთი	7
თელიანის ერთეული	ადმინისტრაციული 14
თელიანი	10
სასირეთი	4

ქ.კასპში ნარჩენების გატანა ხდება ყოველდღიურად, ხოლო სოფლებში კვირაში ორჯერ ან სამჯერ, გრაფიკის მიხედვით. ზაფხულის პერიოდში ხდება დამატებითი რეისებით მომსახურების გაწევა, რომელსაც შ.პ.ს. “კასპისკეთილმოწყობა“ ახორციელებს საკუთარი სახსრებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სადღესასწაულო და დასვენების დღეებში გროვდება მეტი რაოდენობის ნარჩენი, რისთვისაც საჭიროა დამატებითი რეისების დანიშვნა ან ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტით და ურნებით უზრუნველყოფა) გაუმჯობესება, რისთვისაც საჭიროა დამატებითი სახრების გამოყოფა.

რაც შეეხება ჯანდაცვის ობიექტებიდან სამედიცინო ნარჩენების გატანას, ნარჩენების ტრანსპორტირებაზე, დაგროვებაზე და დამუშავებაზე, ასევე სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვაზე პასუხისმგებელია შ.პ.ს. „ეკომედი“ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ყოველდღიურად ახორციელებს გატანას აქ არსებული სპეცკონტეინერების დაცლის გზით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოები წარმოების პროცესში მიღებული საწარმოო, ინერტული და ცხოველური ნარჩენების მართვას: ნარჩენების გატანას, განთავსებას, თავად უზრუნველყოფენ. ამ ტიპის ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსებას, მოგვარებას უზრუნველყოფენ თვითონ ნარჩენების წარმომქმნელები, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან მოლაპარაკების გზით. იგივე ეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილ დიდგაბარიტიან⁸ ნარჩენებს.

ქ. კასპში ქუჩების, სკვერების და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავების შედეგად დაგროვებული ნარჩენის გატანა ნაგავსაყრელზე ხორციელდება ასევე შპს „კასპისკეთილმოწყობა“-ს მიერ.

მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია იმ სატრანსპორტო საშუალებების შეძენასა და მოვლა-შეკეთებაზე, რომლებიც ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესში გამოიყენება. მუნიციპალიტეტს არა აქვს საკუთარი საამქრო ამ სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შეკეთებისათვის. როგორც წესი, ამ მიზნით ხდება ტენდერების გამოცხადება და შესაბამისი კომპანი(ებ)ის აყვანა, ხოლო როდესაც მცირემასშტაბიან სარემონტო საქმიანობებზეა საუბარი, ხდება ერთჯერადი ხელშეკრულებების დადება შესაბამის კომპანიასთან.

⁸საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მიხედვით, დიდგაბარიტიან ნარჩენებს განეკუთვნებიან ნარჩენები, რომლებიც თავიანთი ზომებისა და ფორმის გამო ვერ თავსდება ნარჩენების სათავსში.

მუნიციპალიტეტიდან ნარჩენების გატანას ემსახურება 12 ერთეული მანქანა, რომლებიც ახდენენ ნარჩენების ტრანსპორტირებას ნაგავსაყრელამდე. მათგან 10 ერთეული ამორტიზებულია. 6 ერთეულზე გაფორმებულია ქირავნობის ხელშეკრულებები ფიზიკურ პირებთან.

ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2016 წელს მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი იქნა 2 ერთეული კომპაქტორი 232,099.48 ლარის ღირებულებით, რომლებიც ექსპლოატაციაში შევიდა 2017 წლის თებერვალსა და ივნისში.

ქვემოთ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების პროცესში:

№2 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ინვენტარიზაცია

სატრანსპორტო საშუალების დასახელება	საშუალო მოცულობა მ ³	სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მდგომარეობის მიხედვით (ქვემოთ იხილეთ შენიშვნა)			სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წლების მიხედვით		
		ძალიან კარგი მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა	ცუდი მდგომარეობა	>10 წელი	5-10 წელი	<2 წელი
SINOTRUK	15		X			X	
MERCEDES BENZ	7	X					X
MERCEDES BENZ		X					X
GAZ-53	5			X	X		
GAZ-53	5			X	X		
GAZ-53	9			X	X		
GAZ-53	9			X	X		
GAZ-53	5			X	X		
ZIL-130	5			X	X		
GAZ-53	9			X	X		
GAZ-53	5			X	X		
GAZ-53	5			X	X		
GAZ-53	9			X	X		

წყლის ავტოცისტერნ ა ZIL130			X		X		
ტრაქტორი JCB				X		X	
ჯამი: ერთეული	15						

ნარჩენების მართვის პროცესში ჩართულია 85 ადამიანი. მათ შორის: ერთი ადმინისტრატორი, 1 მექანიკოსი, 15 მძღოლი და 39 შეგროვების მომსახურების მუშახელი.

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების პროცესის მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებენ კასპის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის და ეკონომიკური განვითარების სამსახურები.

ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის თანამშრომლების აყვანას ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესში ჩართული ორგანიზაცია თავად ახდენს, ამასთან უკვე აყვანილი თანამშრომლების ტრენინგი და მათი უნარ-შესაძლებლობების გაზრდა როგორც „კასპისკეთილმოწყობის“ და ასევე მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობას წარმოადგენს. წლის განმავლობაში დაახლოებით ერთხელ ან ორჯერ გადიან ტრენინგს როგორც „კასპისკეთილმოწყობის“ თანამშრომლები, ასევე მუნიციპალიტეტის იმ სამსახურების თანამშრომლები, რომლებიც ჩართულები არიან ნარჩენების მართვის ზედამხედველობის საკითხებზე მუშაობაში.

მუნიციპალიტეტს არა აქვს ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდების ამსხველი რუკები⁹. არ არის დარუკებული ნარჩენების შეგროვების მარშრუტები, ისინი ხელშეკრულების საფუძველზე ახდენენ ნარჩენების გატანის მომსახურებას, რომელის დანართსაც წარმოადგენს მარშრუტი, რომელიც არის შეთანხმებული ნაგავმზიდების მძღოლებთან.

4.1. ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები ოფიციალური ნაგავსაყრელები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენების განთავსება 2014 წლიდან ხდება კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ მიქელწყაროსთან, რკინიგზის სადგურ კავთისხევის ტერიტორიაზე არსებულ ნაგავსაყრელზე. აღნიშნული ნაგავსაყრელის ფართობი შეადგენს 75312,44 მ²-ს ნაგავსაყრელი არისსაქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს მართვის ქვეშ. მის ადმინისტრირებას ახორციელებს კომპანიის შიდა ქართლის რეგიონული ოფისი. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ მოხდა აღნიშნული ნაგავსაყრელის კეთილმოწყობა, შემოღობვა. ნაგავსაყრელი აღჭურვილია სასწორით, მის ტერიტორიაზე შესვლა-გამოსვლა კონტროლირდება კომპანიის

⁹რუკები, რომლებზეც მითითებული იქნება უბნები, სადაც სრულად, ნაწილობრივ ან საერთოდ არ ხდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისის მიწოდება.

თანამშრომლების მიერ. ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების პერიოდული დაფარვა ხდება საიზოლაციო ფენით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ნაგავსაყრელის საერთაშორისო სტანდრტებთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმის შემუშავება, რომელიც მომავალში განსაზღვრავს ნაგავსაყრელის ფუნქციონირებას მის დახურვამდე, ვიდრე არ მოეწყობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელი გადამტვირთ სადგურებთან ერთად. ყოველდღიურად ნაგავსაყრელზე კასპის და მცხეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე წარმოქმნილი და შეგროვებული 56 ტონა ნარჩენის ტრანსპორტირება ხდება. კასპის მუნიციპალიტეტიდან ზემოთ აღნიშნული 15 სატრანსპორტო საშუალებიდან 12 მანქანის საშუალებით. ბოლო 3 წლის მონაცემების მიხედვით, საშუალოდ გროვდება 29,545 მ³ ნარჩენი.

საშუალო მანძილი სოფლებიდან ნაგავსაყრელამდე 5–50კმ-ში მერყეობს.

ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია

2014 წლამდე მოსახლეობის მიერ ინტენსიურად ხდებოდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და განთავსება თვითნებურად, სტიქიურად შექმნილ დაახლოებით 40 ნაგავსაყრელზე. შ.პ.ს. “კასპისკეთილმოწყობას მიერ 2015-2017 წლებში პერიოდულად, ლოკალურად გაიწმინდა მდინარეების დაბინძურებული ნაპიროები. დარჩენილი ნაგავსაყრელების გაწმენდა 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სატენდერო პირობებით უზრუნველყო კასპის მუნიციპალიტეტმა. 2020 წლამდე იგეგმება ყველა მთგანის დახურვა–რემიდიაცია.

ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების ხარისხიდან გამომდინარე კვლავ ხდება ნარჩენების უკანონო განთავსება. ე.წ. უკანონო ნაგავსაყრელები მდებარეობს შემდეგ სოფლებში:

მუნიციპალიტეტში არსებული არაოფიციალური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია					
ადგილმდებარეობა	ფართი	ნარჩენების სავარაუდო რაოდენობა	მოსახლეობა, რომელიც სარგებლობდა ნაგავსაყრელით	გამოყენების წლები	აღწერა
ქ.კასპი		200მ ³	300	2014 წ-მდე	მიქელწყაროს ტერიტორია ხევის ფერდობი
მეტეხი		350მ ³	700	2014 წ-მდე	სასფლავის, ეკლესიის ფერდობი, მდ.მტკვრის მიმდებარე ტერიტორია
ლამისყანა		60მ ³	150	2014 წ-მდე	
თელიანი, სასირეთი		250მ ³	550	2014 წ-მდე	

ახალქალაქი		300მ ³	800	2014 წ-მდე	მდ.თემის ხეობის, გარიყულას ხიდის მიმდებარე ტერიტორია,
კოდისწყარო		90მ ³	120	2014 წ-მდე	
გომი		30მ ³	60	2014 წ-მდე	
დოესი		80მ ³	100	2014 წ-მდე	
ზემო ხანდაკი		250მ ³	450	2014 წ-მდე	
წინარები		200მ ³	460	2014 წ-მდე	
ქვემოჭალა		70მ ³	80	2014 წ-მდე	
ხოვლე		200მ ³	600	2014 წ-მდე	
სამთავისი		15მ ³	30	2014 წ-მდე	
ოკამი		150მ ³	400	2014 წ-მდე	სოფელ ფერმასთან მდინარე ქსნის მიმდებარე ტერიტორია
კავთისხევი		100მ ³	350	2014-მდე	

4.2. აღდგენა (რეციკლირება და კომპოსტირება)

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ მოქმედებს რაიმე საწარმო, რომელიც მოახდენდა ნარჩენების აღდგენადი მასალების ცენტრალიზებულ შეგროვებას ადგილზე გადამუშავების ან ნარჩენის ექსპორტზე გატანის მიზნით.

მუნიციპალიტეტში არსებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემა არ ითვალისწინებს ნარჩენების დახარისხებულ შეგროვებას ცალკეულ (ქაღალდის/კარდონი, მინის ტარა, პლასტმასი/პოლიმერული ნარჩენები, ჯართი და სხვ.) ფრაქციებად. მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ნარჩენების შეგროვების პუნქტები.

არც კომპოსტირების პრაქტიკა არ არის დანერგილი მუნიციპალიტეტში, შესაბამისად აუთვისებელია ორგანული ნარჩენების საკმაოდ დიდი მასა.

4.3. ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურების ტარიფების დადგენასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია საქართველოში მოქმედი შემდეგი კანონები: „ნარჩენების მართვის კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, კასპის მუნიციპალიტეტი (კერძოდ, საკრებულო, როგორც თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო) პასუხისმგებელია ადგილობრივი მოსაკრებლების (ტარიფების) შემოღებაზე, ამოღებასა და

გაუქმებაზე. მოსაკრებლოს ოდენობა განისაზღვრება იმ კანონების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ მოსაკრებლების სტრუქტურასა და ოდენობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.¹⁰

კასპის მუნიციპალიტეტში ტარიფი განსაზღვრულია კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №44 დადგენილებით „კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“.

აღნიშნული დადგენილების მეორე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე განსაზღვრულია 0.50 ლარის ოდენობით, იურიდიული პირებისა და დაწესებულებებისათვის 25 ლარი ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე.

დადგენილების მესამე მუხლი მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფიზიკური პირებისათვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57,000 ქულას, განსაზღვრულია ერთ სულ მოსახლეზე - 0.30 ლარით; მუხლი 4-ის მიხედვით, 4. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 4 სულით.

მუნიციპალიტეტის მოსაკრებლების კონტროლის განყოფილებაში შექმნილია ერთიანი ელექტრონული სისტემა VGIO PAY, რომლის დანერგვაც მოხდა 2017 წლის მარტის თვეში მოსახლეობიდან ნარჩენების მომსახურების მოსაკრებლის ამოღების სისტემის გასაუმჯობესებლად. მართალია მოსახლეობიდან ნარჩენების შეგროვებისა და გატანისთვის ხდება გადასახადის ამოღება, მაგრამ დასაწერია მონიტორინგის პრაქტიკა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების პასუხისმგებლობების დაკისრება, რადგან მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ერიცხებათ დავალიანება.

არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია დროსა და ხარჯებთან, რაც არაეფექტიანს ხდის მოსაკრებლების კონტროლის სფეროს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მასშტაბით, დღეის მდგომარეობით არ არსებობს ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც შექმნიდა მექანიზმებს ურჩი გადამხდელების გადასახდის გადახდის დავალდებულებისა და მოსაკრებლების ამოღების სისტემის სრულყოფისთვის.

მყარი ნარჩენების დასუფთავების, შეგროვების და ნაგავსაყრელამდე მიტანის ხარჯი შეადგენს: 2015 წელში 525 009 ლარს, 2016 წელში 545 868 ლარს, ხოლო 2017 წლის საპროგნოზო მაჩვენებელია 554 000 ლარი. რაც შეეხება დასუფთავების გადასახადიდან მიღებულ მთლიან შემოსავლებს, ასეთი სურათია: 2015 წელში 167 873 ლარი, 2016 წელში 134 189 ლარი, ხოლო 2017 წლის პროგნოზია 150 300 ლარი. მიღებულ შემოსავლებში შემოსავალმა ფიზიკური პირებიდან (მოსახლეობიდან) შეადგინა 2015 წელში 58755 ლარი, 2016 წელში 46966 ლარი, ხოლო 2017 წლის პროგნოზია 52605 ლარი. გადასახადის ამოღების წილია 35%. რაც შეეხება იურიდიული პირებიდან მიღებულ შემოსავლებს, ასეთი სურათია: 2015 წელში 109118 ლარი, 2016 წელში 87223 ლარი, ხოლო 2017 წლის პროგნოზით 97695 ლარი. მომსახურების არეალში იურიდიული პირების მხოლოდ 40%-ია გადასახადის გადამხდელი.

¹⁰ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 5, პუნქტი 2 (ბ).

წლები	2015	2016	2017
ნარჩენების მართვის ხარჯები (ლარი)	525,009	545,868	554,000
დასუფთავების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები (ლარი)	167,873	134,189	150,300
თანაფარდობა %	32%	24%	37%

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მოვალეობაში შედის:

1. პრევენციის მიზნით მოახდინოს ადმინისტრაციულ საზღვრებში სოფლების და დასახლებული პუნქტების შემოვლა შესაბამისი თანამშრომლების მიერ და გამოავლინოს დანაგვიანების შემთხვევებზე სამართალდარღვევის ფაქტები.

2. განახორციელოს კონტროლი მუნიციპალური და სამშენებლო ნარჩენების არალეგალურ განთავსებაზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში, მოახდინოს გაფრთხილების მიცემა გამოვლენილ ფაქტებზე საქართველოს კანონით „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ გათვალისწინებული შესაბამისი სანქციის დადება.

3. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოცემის შესახებ“ დამტკიცებული ოქმი. შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და დაჯარიმება თითოეულ შემთხვევაზე.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე დაჯარიმების მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა 2016 წელს. ზედამხედველობის სამსახური გაფრთხილების წერილებს აგზავნის და მხოლოდ იმ შემთხვევაში აჯარიმებს, თუ არ ხდება პრობლემის აღმოფხვრა.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდანაც ჩანს, ამ მიმართულებით მუშაობა გასააქტიურებელია, ამ ეტაპისათვის არ მომხდარა მოსახლეობის დაჯარიმება დანაგვიანების ფაქტებზე.

დაჯარიმებული პირის თანხის ამოღებაზე კონტროლი ევალება მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით (იურიდიული, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური განვითარების სამსახურები).

4.4 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

2014 წელს კასპის მუნიციპალიტეტის ფაქტობრივმა ბიუჯეტმა შეადგინდა 2015 წელს – 537,282 ლარი, ხოლო 2016 წელს - 539,530 ლარი;

ნარჩენების მართვისთვის გაწეულმა დანახარჯებმა 2015 წელში შეადგინა 461,244 ლარი, ხოლო 2016 წელში 488,639 ლარი, რაც კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მხოლოდ 4%-ია. მუნიციპალური ნარჩენების მართვაში ჩართული თანამშრომლების წლიურმა ხარჯებმა შეადგინა 2015 წელში 6233 ლარი, ხოლო 2016 წელში 5682 ლარი

ხარჯი შეგროვებული ნარჩენების რაოდენობის მიხედვით წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

წელი	ღირებულება (ლარი)	ნარჩენებისრაოდენობა (ტონა)
2012	92,300	1,100
2013	115,600	1,400
2014	325,224	3,900
2015	504,144	6,627
2016	592,600	7,832

ამ მონაცემების გათვალისწინებით 1 ტონა ნარჩენის მართვა 84-იდან 76 ლარს შეადგენდა 2012–2016 წლების პერიოდში.

მომხმარებლის საფასურით გენერირებულმა შემოსავლებმა შეადგინა 2015 წელში 170,800 ლარი, ხოლო 2016 წელში 135,000 ლარი, რაც ნარჩენების შეგროვების ხარჯის %-მა შეადგენდა 33% 2015 წელს და 22,8% 2016 წელს.

ნაწილი 5 - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები

კასპის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან არსებული მდგომარეობისა და ნარჩენების მართვის სისტემების ევროპული მაგალითების საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ნარჩენების მართვის სამომავლო ვარიანტების ანალიზი.

შეგროვება და ტრანსპორტირება

მომავალში ნარჩენების მართვის ევროპულ სტანდარტებთან მოყვანის, ჰაერისა და წყლის დაბინძურების, ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილების და გარემოზე ზემოქმედების შემცირების და ბუნებრივი გარემოს დაცვის მიზნით, ასევე მაღალი ხარისხის ნარჩენების მართვის მომსახურების დანერგვის მიზნით კასპის მუნიციპალიტეტში საჭიროა:

- ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირებისთვის დამატებით:
 - ორი ერთეული (16 მ³-24 მ³ და 6 მ³-16 მ³ ტევადობის ნაგავმზიდი ავტომანქანის; და
 - მეტალის 900 ერთეული 1,1მ³, 0,670მ³ და პლასტიკის ჩამოსაკიდი 100 ერთეული 0,350 მ³ ტევადობის ნარჩენების შეგროვების კონტეინერის

შემენა. შექმნილი კონტეინერები მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებს შორის ასე განაწილდება:

ურნების შექმნის პერიოდი	რაოდენობა	ურნების ტევადობა	განთავსების ლოკაცია
2018	380	1,1	ახალქალაქი, წინარეხი, კავთისხევი, სამთავისი
	100	0,350	ქ.კასპი
	20	0,670	ქ.კასპი
2019	220	1,1	დოესი, ხოვლე, ოკამი, ალაიანი, ქვემო ჭალა, ლამისყანა,
2020	180	1,1	ახალციხე, კოდისწყარო, მეტეხი
2021	100	1,1	თელიანი, ზემო ხანდაკვი, ქვემო გომი

- ელექტრონული რუკების შექმნა, სადაც ასახული იქნება მარშრუტები და ურნების განთავსების ადგილები, რათა მომავალში ამის საფუძველზე მოხდეს დამატებითი მარშრუტების, კონტეინერების განთავსების და ნარჩენების სეპარირების ადგილების ოპტიმიზაცია, რომ ეს პროცესი იყოს ხარჯთეფექტიანი;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარაცია. პირველ ეტაპზე ქ.კასპში, მაღალმთიანი დასახლების სოფლებში სადაც მეტი მოსახლეა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ტერიტორიაზე, სადაც ყველაზე მეტი ვიზიტორი იყრის თავს და გროვდება ყველაზე მეტი ნარჩენი;
- გადახდის აპარატების დამონტაჟება.

ნარჩენების განთავსება

ნარჩენების განთავსების არალეგალურ ადგილებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა მოახდინოს ასეთი ადგილების მუდმივი მონიტორინგი და ზედამხედველობა. უნდა შეიმუშაოს ბაზა ასეთ ადგილებზე, უნდა განსაზღვროს ამ ადგილების სპეციფიკა (ფართობები, მათზე არსებული ნარჩენების რაოდენობა და შეამდგენლობა) და ამის მიხედვით შემუშავდეს დეტალური სამოქმედო გეგმა დახურვა-რემიდიაციასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ასეთ ადგილას უნდა შეფასდეს საინფორმაციო ბანერების დამონტაჟების შესაძლებლობა, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია, იმაზე, რომ ნარჩენების არალეგალური განთავსება დასჯადია. რიგ შემთხვევებში, შესაბამისი შეფასების საფუძველზე, უნდა მოხდეს ასეთ ადგილებზე ნარჩენების შეგროვების კონტეინერების განლაგება. ეს საკითხი ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს თითოეულ ადგილთან დაკავშირებით.

აღდგენა

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა – სველი-მშრალი შეგროვება. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ნაკადებზე (ქალაქი, პლასტიკი და ორგანული ნარჩენები), რომლებიც გამოიყო ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს. მუნიციპალიტეტი ეტაპობრივად გეგმავს სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის დანერგვას, ჯერ იგეგმება ქ.კასპში და 2–3 სოფელში, სადაც ყველაზე მეტი მოსახლე და მეწარმეა, რამდენიმე ადგილას (სავარაუდოდ მსხვილ მაღაზიებთან და სკოლებთან ახლოს) ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უბნების მოწყობა. ასეთი პუნქტების მოწყობა პირველ ეტაპზე იგეგმება იმ დასახლებებში, სადაც ტურიზმია განვითარებული. შემდგომ პერიოდებში მოხდება ამ ადგილების გაფართოვება როგორც ამ პილოტურ ორ ადგილას დამატებითი უბნების შექმნით, ასევე, სეპარაციის უბნების შექმნით სხვა მსხვილ დასახლებულ პუნქტებში.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა მოახდინოს იმ კომპანიებთან მოლაპარაკებები, რომელიც დახარისხებულად შეგროვებული ნარჩენის გატანით დაინტერესდებიან. ამ მხრივ საინტერესოა საწარმო, რომელიც იგეგმება შ.პ.ს. “ჰაიდელბერჯორჯიას“ მიერ.

2019-2020 წლებისთვის კასპის მუნიციპალიტეტში, შ.პ.ს. “ჰაიდელბერჯორჯიას“ კასპის ქარხნის ტერიტორიაზე დაგეგმილი აქვს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა, სადაც სხვადასხვა კატეგორიის სამრეწველო და სამედიცინო ნარჩენებთან ერთად, მოახდენს ენერგორესურსების შემცველი, მშრალი საყოფაცხოვრებო ნარჩენების (პლასტმასი, მუყაო, ქალაქი, პოლიეთილენის პარკი და სხვა ორგანული ნარჩენი) გადამამუშავებას. ამ ეტაპზე ხდება ევროპის ქვეყნებში პერსონალის გადამზადება.

მუნიციპალიტეტმა უნდა გამოიყოს საცავი შეგროვებული ნარჩენის დასაწყობების მიზნით, სადაც კომპანია მოახდენს ნარჩენების წინასწარი დამამუშავების მოწყობილობების დამონტაჟებას. წინასწარ უნდა მოხდეს მოლაპარაკება ფასზე და ნარჩენის შესყიდვის პროცედურებაზე (სავარაუდოდ ნარჩენების მიყიდვა უნდა მოხდეს პირდაპირი წესით).

აუცილებელია სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენის ტრანსპორტირება ხდებოდეს მუნიციპალიტეტის სპეციალურად ბრენდირებული ავტოტრანსპორტით, რომ მოსახლეობა ხედავდეს, რომ ნარჩენის ტრანსპორტირება ხდება ცალკე სპეციალურად გამოყოფილ საცავში.

გამომდინარე იქიდან, რომ ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს წამყვანი ადგილი ორგანულ ნარჩენებს ეკავა, მნიშვნელოვანია კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში. ხარჯთეფექტიანობის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია საერთო სარგებლობის (რამდენიმე ფერმერის გაერთიანება) საკომპოსტე ადგილების მოწყობა.

ნაწილი 6 - სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი უწყისე	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
<p>კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება, ანგარიშგება და მონაცემთაბაზა) ჩამოყალიბება 2018 წლისათვის.</p>	<ul style="list-style-type: none"> არაზუსტი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით (არ არის დაზუსტებული ინფორმაცია სახიფათო, სამედიცინო და სხვა ტიპის ნარჩენების შესახებ). 	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტში ნარჩენების აღრიცხვაზე და შესაბამისი ბაზის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა; მუნიციპალური ნარჩენების შემგროვებელი კომპანიის კონტრაქტში ყოველდღიურად გატანილი ნარჩენების აღრიცხვისა და მუნიციპალიტეტში ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირისათვის ამ მონაცემების ყოველთვიურად მიწოდების ვალდებულების ჩადება; იმ კომპანიების, რომლებიც სახიფათო მუნიციპალური, სამედიცინო და სხვა ტიპის ნარჩენის შეგროვებას ახდენენ, კონტრაქტში ან დებულებაში ყოველდღიურად გატანილი ნარჩენების აღრიცხვისა და მუნიციპალიტეტში ამ 	<p>ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით ხელმისაწვდომია.</p>	<p>მონაცემთა ელექტონული ბაზა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ მიხედვით.</p>	<p>2018 წლის 31 დეკემბერი</p>	<p>კასპის მუნიციპალიტეტი</p> <p>ეკონომიკური განვითარების სამსახური</p> <p>შპს „კასპის კეთილმოწყობა“</p>	<p>საქართველოს არემოსადაბუნებრივი ბრუნვის ბისდაცვისსამინისტრო/აქტივობის კოორდინაციის მიზნით</p> <p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p>		

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
		<p>საკითხზე პასუხისმგებელი პირისათვის ამ მონაცემების ყოველთვიურად მიწოდების ვალდებულების ჩადება;</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ელექტონული ბაზის შემუშავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით. 							
<p>ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (საკმარისი რაოდენობის კონტეინერები, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირე, სპეცტიქნიკა) მიწოდება მოსახლეობისათვის</p>	<ul style="list-style-type: none"> • არასრულყოფილი მომსახურების მიწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის: <ul style="list-style-type: none"> • სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობას მომსახურება მიეწოდება ზარის სისტემით 90%-ს • სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას მომსახურება მიეწოდება კვირაში სამჯერ, რაც არასაკმარისია 	<ul style="list-style-type: none"> • დამატებით 1 მ³ მოცულობის 900 ერთეული შეგროვების კონტეინერის დადგმა, რითაც მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სრულად მოცვა ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისით (იგეგმება ყოველწლიურად მოხდეს დაახლოებით 200–250 1მ³ კონტეინერის შესყიდვა 2018-2022წწ–ში), ყველა სოფლის მოცვა და აღჭურვა საჭირო რაოდენობის 	<p>ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების მიწოდება როგორც მოსახლეობისათვის ს, ისე საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტი ს მთელს ტერიტორიაზე</p>	<p>ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლებ ისმიღწევა:</p> <p>მუნიციპალური ნარჩენები 90% 2020 წლისთვის;</p> <p>მუნიციპალური</p>	<p>2018 - 2022 წწ.</p>	<p>კასპის მუნიციპალიტეტი</p>	<p>საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <p>დონორები</p>	<p>1,000,000</p>	<p>ადგილობრივი ბიუჯეტი</p>

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი უქტუა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
და მუნიციპალიტეტში არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.	<ul style="list-style-type: none"> სატრანსპორტო საშუალებებისა და შეგროვებისათვის საჭირო ტექნიკის ნაკლებობა ; რთულად ხელმისაწვდომი შვიდი სოფელ დარჩენილია მომსახურების გარეშე, აქ ნარჩენების შეგროვება სპეციალურ ტექნიკის საჭიროებს; რუკების არ არსებობა, სადაც დატანილი იქნება ნარჩენების შეგროვების მარშრუტები და შეგროვების კონტეინერები. 	<ul style="list-style-type: none"> კონტეინერებით აღჭურვა (იხ. ცხრილი ზემოთ, სადაც მითითებულია, სად რამდენი კონტეინერი დაიდგმება); სოფლებიდან ნარჩენების გატანის სიხშირის გაზრდა და ნარჩენების გატანის უზურნველყოფა კვირაში 4-ჯერ, რისთვისაც დამატებით საჭიროა 16 კუბიანი ნაგავმზიდის ჩართვა ნარჩენების შეგროვების პროცესში; (2018-2019წწ) რთულად ხელმისაწვდომ დასახლებებში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების მიწოდებისათვის ადგილზე 70-მდე კონტეინერების შექმნა და სამუშაოდ მაღალი გამავლობის 2 სპეცავტომანქანის შექმნა. (2018 – 2019 წლები) 		სახიფათონარჩენები 70% 2020 წლისთვის;	2021 წელი (ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევის კუთხით)				

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევისი ნდიკატორი	ვადა	პასუხი სმგებელის უქტუა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
		<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების ამსახველი რუკების შემუშავება (მარშრუტებისა და კონტეინერების მდებარეობის დატანა რუკებზე და 2018- 2019 წელს რუკების მომზადება) 							
<p>მუნიციპალური სახიფათო ნარჩენების მართვის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება</p>	<ul style="list-style-type: none"> უცნობია ყოველწლიურად წარმოქმნილი სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა; არ ხდება მუნიციპალური სახიფათო და სხვა ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. 	<ul style="list-style-type: none"> იმ კომპანიების, რომელებიც მუნიციპალური სახიფათო ნარჩენის შეგროვებას მოახდენენ, კონტრაქტში ყოველდღიურად გატანილი ნარჩენების აღრიცხვისა და მუნიციპალიტეტში ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირისათვის ამ მონაცემების ყოველთვიურად მიწოდების ვალდებულების ჩადება; მონაცემთა ელექტონული ბაზის შემუშავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების 	<p>სახიფათო ნარჩენების მართვა კასპის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული კანონმდებლობის სისტემაში სმიხედვით.</p>	<p>მონაცემთა ელექტონული ბაზა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით.</p>	<p>2018 წლის 31 დეკემბერი</p>		<p>საქართველოსგ არემოსადაბუნე ბრივირესურსე ბისდაცვისსამი ნისტრო აქტივობების კოორდინაციის მიზნით</p>		

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი უქტუა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
		რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით.		ადგილობრივ დონეზე მუნიციპალური სახიფათო ნარჩენების მართვის დოკუმენტის შემუშავება სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის მიხედვით.	2022 წელი (სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის დოკუმენტის შემუშავების კუთხით)				
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნარჩენების	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური ნარჩენების არსებობა. 	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების აღრიცხვის, დახურვისა და რემიდიაციის დროში გაწერილი გეგმის 	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განთავსების არალეგალური 	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნარჩენების	2018 - 2019 წელი	კასპის მუნიციპალიტეტი		150,000	ადგილობრივი ბიუჯეტი

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი უქტუა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
დახურვა/რემედიაციის 2019 წლისთვის		<p>შემუშავება (2018 წელი) და განხორციელება (2019 წელი)</p> <ul style="list-style-type: none"> გაწმენდილ ადგილებზე ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერების და საინფორმაციო ბანერების განლაგება, და მონიტორინგის განხორციელება. (2019-2022) 	<p>ადგილების ბაზა;</p> <ul style="list-style-type: none"> ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების დახურვისა და რემედიაციის დროში გაწერილი გეგმა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების რემედიაცია 	<p>ავსაყრელების 90% დახურულია 2018 წლისთვის;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების 100% დახურულია 2020 წლისთვის;</p>	2018-2022 წელი	შპს კასპისკეთილმოწყობა			

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი უქტუა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
<p>ნაგავსაყრელზე მუნიციპალური ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა);</p>	<p>ნაგავსაყრელზე განთავსებულ ნარჩენში ორგანული (ხის ნახერხის, ბალის და ქუჩების დასუფთავების) ნარჩენის დიდი რაოდენობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • კომპოსტირების საკითხებზე ტრენინგების ჩატარება მუნიციპალიტეტის სოფლების რწმუნებულებთან (სულ მცირე 2-3 ტრენინგი); 2018წ. • სადემონსტრაციო საკომპოსტე ადგილების მოწყობა სასწავლო დაწესებულებების და/ან აქტიური ფერმერების ტერიტორიებზე; 2019 • სათემო საკომპოსტე უბნის მოწყობა იმ სოფლებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტ ინტერესს გამოიჩენენ ინიციატივას მიმართ (ექსპერტის ჩართულობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადგილზე ორგანული მასის საკმარისი რაოდენობა) 2020 	<ul style="list-style-type: none"> • ნაგავსაყრელზე განთავსებულ ნარჩენში ორგანული ნარჩენი შემცირებული ა 5%-ით (2017 წლის მონაცემებთან მიმართებაში). 	<p>მუნიციპალიტეტის მასშტაბით 20 ფერმერს მოწყობილი აქვს საკომპოსტე უბანი თავის ფერმაში;</p> <p>მუნიციპალიტეტის მასშტაბით 50 ფერმერს მოწყობილი აქვს საკომპოსტე უბანი თავის ფერმაში;</p>	<p>2018 წელი</p> <p>2018-2020 წწ</p>	<p>კასპის მუნიციპალიტეტი</p>	<p>სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>20,000</p>	<p>ადგილობრივი ბიუჯეტი</p>

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი უქტუა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
ქაღალდის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2020 წლისთვის;	მუნიციპალიტეტში ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის პრაქტიკის არ არსებობა.	<ul style="list-style-type: none"> იმ კომანიებთან დაკავშირება და თანამშრომლობის აწყობა, რომლებიც ნარჩენების შეგროვებას და/ან გადამუშავებას ახდენენ რეგიონის ან ქვეყნის მასშტაბით; ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ნაკადებზე (ქაღალდი, პლასტიკი), რომლებიც გამოიყო ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს; პუნქტები მოეწყობა ქ. კასპში და მსხვილ სოფლებში და დასახლებებში, სადაც ტურიზმია განვითარებული პირველ ეტაპზე; 2018-2019 წლებში; ხოლო შემდგომ მოხდება სეპარირების ფართოდ 	მუნიციპალიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის პრაქტიკა.	ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლები მიღწევა: <ul style="list-style-type: none"> ქაღალდი 30% 2020 წლისთვის; მეტალი 70% 2020 წლისთვის; პლასტიკი 30% 2020 წლისთვის; 	2020 წელი	კასპის მუნიციპალიტეტი	საქართველოსგარემოსდაცვითი ბრვირესურსების დაცვის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციები დონორები	25,000	ადგილობრივი ბიუჯეტი

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
		<p>დანერგვა გავრცელება მთელს მუნიციპალიტეტში</p> <ul style="list-style-type: none"> ნარჩენების სეპარირებული შერევის პროცესის მონიტორინგი; 							

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნიშნები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
<p>კასპის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის;</p>	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების სისტემის ნაკლოვანებები; 	<ul style="list-style-type: none"> ხარჯებისა და ტარიფის სწორი კალკულაცია WMTR II-თან თანამშრომლობით (2018 წელი); ამოღების მექანიზმების გამართვისათვის რეკომენდაციების შემუშავება და ამოქმედება (2018–2019 წლები); მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება, გადაუხდელობის შემთხვევებზე რეაგირება 	<p>ეფექტიანი მომსახურების მიწოდება მოსახლეობისათვის.</p>	<p>მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის;</p>	<p>2020 წელი</p>	<p>კასპის მუნიციპალიტეტი</p>	<p>საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p> <p>დონორები</p>	<p>5,000</p>	<p>ადგილობრივი ბიუჯეტი</p>

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
<p>ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება, საჯარიმო სანქციების სისტემის აქტიური ამუშავება</p>	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევები 	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, დაჯარიმების სისტემის აქტიური ამოქმედება, საჭიროებისამებრ კონსულტაციების გავლა გარემოსაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან (2018 წელი); საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მოსახლეობასთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან, სკოლებში, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების საკითხზე და საჯარიმო სისტემაზე (2018–2020 წლები, რეგულარულად, პირველ წელს მინიმუმ 4 თვეში ერთხელ, მეორე და მესამე წელს 6 თვეში ერთხელ) 	<p>მუნიციპალური ნარჩენებით დანაგვიანების პრევენცია.</p>	<p>მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევების 30% შემცირება 2019 წლისათვის</p> <p>მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევების 50% შემცირება 2022 წლისათვის</p>	<p>2019 წელი</p> <p>2022 წელი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური</p>	<p>გარემოსაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p> <p>საერთაშორისო პროექტები (მაგ.. WMTR II)</p>		

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი უქტუა	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის;	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების 11,7 % არ მიეწოდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება. 	<ul style="list-style-type: none"> სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება, ხარჯებისა და ტარიფის სწორი კალკულაცია; ჯარიმების სისტემის გააქტიურება, თითოეულ ფაქტზე; კერძო სექტორიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება. 	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების 100% მიეწოდება ნარჩენებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურება. 	კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის	2020 წელი	კასპის მუნიციპალიტეტი	საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები არასამთავრობო ორგანიზაციები დონორები	10,000	ადგილობრივი ბიუჯეტი
მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე;	<ul style="list-style-type: none"> მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შესახებ; ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების 	<ul style="list-style-type: none"> სხვადასხვა სახალისო აქტივობების/კამპანიების განხორციელება საბავშვო ბაღებსა და სკოლებში საკითხის აქტუალიზაციის მიზნით (განსაკუთრებით იმ უბნებში, სადაც ნარჩენების სეპარირებული 	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტში არ არსებობს ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილები; 	ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების მინიმალური ეროვნული	2020 წელი	კასპის მუნიციპალიტეტი	არასამთავრობო ორგანიზაციები დონორები	5,000	ადგილობრივი ბიუჯეტი

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ინსპივები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორ ი	ვადა	პასუხი სმგებ ლისტ უქტუა	პარტნიორი	აქტივო ბის ბიუჯე ტი (ლარი)	დაფინან სების წყარო
	საფასურის გადახდის დაბალი მაჩვენებელი.	<p>შეგროვება დაიწყება) მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ.</p> <ul style="list-style-type: none"> იმ პროექტებთან და პროგრამებთან აქტიური თანამშრომლობა, რომლებიც რეგონში მუშაობენ გარემოსდაცვის საკითხებზე და მათთან თანამშრომლობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით 	<ul style="list-style-type: none"> მოსახლეობის 30% იხდის მომსახურების გადასახადს. 	მაჩვენებლებს მიღწევა (იხ. ზემოთ)					

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
<p>მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ- შესაძლებლობების გაძლიერებანარჩენების მართვის ეფექტიანისისტემის დანერგვისკუთხით.</p>	<p>ნარჩენების შეგროვებისა და გატანის არაეფექტიანი მომსახურების მიწოდება.</p>	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე დასწრების წახალისება და უზრუნველყოფა; • სულ მცირე 1 კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე თანამშრომლების დასწრების უზრუნველყოფა (წელიწადში 1 ჯერ) მუნიციპალიტეტის მიერ (შესაბამისი შესაძლებლობების მოძიება მუნიციპალიტეტის კადრების განყოფილების მიერ). 	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და აქ არსებული საწარმოებისათვის ეფექტიანი მომსახურების მიწოდება.</p>	<p>ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა (იხ. ზემოთ)</p>	<p>2020 წელი</p>	<p>კასპის მუნიციპალიტეტი</p>	<p>საქართველოს არემოსა და ბუნებრივ რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაციები</p> <p>დონორები</p>	<p>2,000</p>	<p>ადგილობრივი ბიუჯეტი</p>
<p>გეგმის განხორციელების მონიტორინგი</p>	<p>ნარჩენების სრული ციკლის მართვის არაეფექტიანი მონიტორინგი</p>	<ul style="list-style-type: none"> • გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; • ჯგუფი პერიოდულად, წელიწადში ერთხელ 	<p>გეგმით გათვალისწინებულ</p>	<p>ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების</p>	<p>2018-2022</p>	<p>კასპის მუნიციპალიტეტი</p>	<p>საქართველოს გარემოსა და ბუნებრივ რესურსების</p>		

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ნისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი	პარტნიორი	აქტივობის ბიუჯეტი (ლარი)	დაფინანსების წყარო
		<p>მოახდენს იმის შეფასებას თუ რა ეტაპზეა გეგმის განხორციელება, მოხდა თუ არა გეგმით განხორციელებული აქტივობების განხორციელება და სად არის პრობლემა გეგმის განხორციელებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;</p> <ul style="list-style-type: none"> • მოახდენს შესწორებების შეტანას გეგმაში საჭიროებისამებრ 	<p>ლიყველააქტივობის შესრულება</p>	<p>ის მინიმალური ეროვნული მაჩვენებლებს მიღწევა</p>			<p>დაცვის სამინისტრო კოორდინაციისა და რეკომენდაციების მოწოდების კუთხით</p> <p>დონორები;</p> <p>არასამთავრობო სექტორი</p>		

აღნიშნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი მოახდენს გეგმის განხორციელების მონიტორინგს მითითებული ინდიკატორების მიხედვით წელიწადში ერთხელ და წარადგენს შედეგებს მუნიციპალიტეტის საკრებულოზე. ანგარიშში ასახული იქნება ინფორმაცია იმაზე თუ რა ეტაპზეა თითოეული აქტივობის მიმდინარეობა, რა სირთულეები იყო გეგმის განხორციელების დროს. თუ ადგილი ექნება მნიშვნელოვან სირთულეებს/ პრობლემებს გეგმის განხორციელების ეტაპზე ჯგუფი ვალდებული იქნება შეიტანოს მასში ცვლილებები საჭიროებისამებრ და მოახდინოს ამ ცვლილებების შეთანხმება საკრებულოსთან. ამასთან ეკონომიკური განვითარების და ზედამხედველობის სამსახურები ყოველთვიურად გაუკეთებს ანალიზს (ან კვარტალში ერთხელ) გეგმის მიმდინარეობას და ამასთანავე გამოკვეთავენ პრაქტიკაში რა პრობლემები გამოჩნდება გეგმის განხორციელება/მიმდინარეობისას და დასახავენ ღონისძიებებს გეგმის ფარგლებში, პრობლემების გამოსწორების მიზნით.